ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2762141

ნომერი: AR1428008

თარიღი : 01.08.2016

გაცემის თარიღი : 05.08.2016

გაცნობის თარიღი : 05.08.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაღი , N 7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ გაჩეჩილაძე პ/ნ 01008012422
- თბილისი ქობულეთის ქ. N 3/15 ბ. 63

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ბაღის ქუჩა #78-ში, ტერიტორიაზე შესასვლელი კარის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ რამოდენიმეჯერ მოთხოვნილი იქნა შლაგბაუმის მოწყობა, რაზედაც სამსახურმა გაცნობათ შესაბამისი პასუხი. ამჟამად მოთხოვნილი საპროექტო კარიც შესაბამისად იგივე ფუნქციის დანიშნულებით ეწყობა, რომელიც ეწინააღმდეგება შს მინისტრის 2007 წლის 27 მარტის #449 ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესები"-ს მუხლი 8 პუნქტი 3-ის მოთხოვნებს "შენობა-ნაგებობებთან, ღია საწყობებთან, წყლის წყაროებთან და სახანძრო კიბეებთან მისასვლელი გზები, მოსასვლელები და გასასავლელები უნდა იყოს მოწესრიგებული და თავისუფალი სახანძრო ტექნიკის მისასვლელად, ხოლო ზამთარში გაწმენდილი თოვლისა და ყინულისგან".

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.